ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №50

22.11.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
4. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032432550-03; 20.11.2024);**

2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03243231-03; 18.11.2024);**

3. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032432414-03; 19.11.2024);**

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432414-03; 19.11.2024).

მომხსენებელი:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432550-03; 20.11.2024):

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად შემოსავლების ნაწილში იზრდება ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 2 500,0 ათასი ლარით, შესაბამისად მცირდება მიწაზე ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში იზრდება საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები - 19 691,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფინანსური აქტივების კლების ნაწილში მცირდება სესხებიდან მისაღები შემოსავლები - 100,0 ათასი

ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 19 591,6 ათასი ლარით და შეადგენს 2 077 927,2 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

პროექტის თანახმად, იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 28 200,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად მცირდება შემდეგი ქვეპროგრამების ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 1 000,0 ათასი ლარით;
- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) - 866,6 ათასი ლარით;
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 5 000,0 ათასი ლარით;
- მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - 1 724,0 ათასი ლარით;
- თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) - 4 102,3 ათასი ლარით;
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 315,4 ათასი ლარით;
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 7 860,2 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა: საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) - 1 232,2 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამებში, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 8 ერთეულით, ხოლო სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21)

მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 6 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4883 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 877 892,3 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 787 117,7 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 2 077 927,2 ათასი ლარით.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (171 905,1) ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432550-03; 20.11.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03243231-03; 18.11.2024):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

<u>საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს სააგენტოს და მას დაურთოს მისი კუთვნილი პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული</u>

დანართი 3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველში „ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი. სააგენტო უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.“;

მე-3 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს სააგენტოს და მას დაურთოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კუთვნილი პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 3-ით განსაზღვრული ფორმა № IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველში „ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. სააგენტო უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.“.

პროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილებამ.

კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილების შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი №1545 („საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი №33-99 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და მე-3 პუნქტის პირველი წინადადება (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

უფრო კონკრეტულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2020 წლის 2 ნოემბერს, კონსტიტუციური სარჩელით №1545 („საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ“) მიმართა

საქართველოს სახალხო დამცველმა და ითხოვა №33-99 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების და მე-3 პუნქტის პირველი წინადადების (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით. საქართველოს სახალხო დამცველის განმარტებით, სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის მიზნისთვის, შესაბამისი პირები ერთმანეთთან გათანაბრებულ უნდა იქნენ არა მათთვის მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის, არამედ სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის რეალური საჭიროების მიხედვით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომლის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა გამოხატულია მნიშვნელოვნად ან ზომიერად, შესაძლებელია, აღენიშნებოდეს იმგვარი ფიზიკური შეზღუდვა, რომელიც საჭიროებს გადაადგილებისთვის/პარკირებისთვის სპეციალური პირობების შექმნას. თუმცა, მიუხედავად ამგვარი საჭიროებების არსებობისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი პარკირების ადგილით სარგებლობა კანონმდებლობით არ არის ნებადართული და იწვევს შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, მათ შორის, სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლების მინიჭების საჭიროება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, შესაბამისი ექსპერტული შეფასების შედეგად. ამასთან, სპეციალური საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობა დაკავშირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური სადგომით სარგებლობის ინდივიდუალურ საჭიროებასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო რეგულირება ადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას და არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების დანართი №3-ით დამტკიცებული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაიცემა ცნობა, რომელიც ეძლევა შემოწმებულს და რომლის წარდგენის შესაძლებლობა ასევე გათვალისწინებულია სადავო წინადადებით. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022

წლის 28 სექტემბრის №01-104/ნ ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი იანვრიდან, აღნიშნულ ცნობაში ექსპლიციტურად არის გათვალისწინებული ველი - „ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“, სადაც გადაადგილების შეზღუდვის არსებობისას, უნდა მოხდეს მისი დაფიქსირება და შესაბამისი ხარისხის მითითება. იმავდროულად, ცნობა ითვალისწინებს რეკომენდირებული დამხმარე საშუალების მისათითებელ ველსაც. გარდა ამისა, საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმაც, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის დროს სამედიცინო და საექსპერტო დოკუმენტაციაში ეთითება დასაბუთება შესაბამისი სტატუსის მინიჭების მიზეზების თაობაზე. იმავდროულად, მისი პოზიციით, შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, სტატუსის შესახებ ცნობაში მიეთითოს გადაადგილების უნარის შეზღუდვის თაობაზე. შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მარეგულირებელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფილია იმგვარი ოფიციალური დოკუმენტის არსებობა, რომელიც იდენტიფიცირებადს ხდის დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვას და მის ხარისხობრივ გრადაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა საკრებულოს დადგენილების პროექტი №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვით წესის მე-11 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები შესაბამისობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილებასთან და ყალიბდება ზ/აღნიშნული ახალი რედაქციით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03243231-03; 18.11.2024) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432414-03; 19.11.2024):

ვ.აბულაძე - 2014 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-75 დადგენილება (შემდგომში - №19-75 დადგენილება).

საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 26 აპრილს მიიღო N1522-VIIIმს-Xმპ საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და კოდექსს დაემატა 134^1-ე მუხლი. აღნიშნული მუხლი, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შესაბამისი სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოების დროს. ხოლო, ამავე კოდექსის 209^3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 134^1 გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს ამ კოდექსის 290^6 მუხლის გათვალისწინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი. ამასთანავე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის #57-52 დადგენილებაში 2022 წლის 16 ივლისს საკრებულოს №12-67 დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134^1 მუხლით

გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

ამასთანავე, 2024 წლის 16 აგვისტომდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო ერთდროულად იყვნენ უფლებამოსილნი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმებაზე. 2024 წლის 16 აგვისტოს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და ქონების მართვის სააგენტოს დებულებებში შევიდა ცვლილებები („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-71 დადგენილება; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-63 დადგენილება) და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმებაზე სრული უფლებამოსილება გადაეცა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქცია ამოღებულ იქნა ქონების მართვის სააგენტოს ფუნქციებიდან. აღნიშნული ცვლილების შედეგად, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემების შეთანხმების მსურველი განმცხადებელი ერთი ფანჯრის პრინციპით, გამარტივებულად მიმართავს მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის შეთანხმების მიზნით.

№19-75 დადგენილებით დამტკიცებული „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის" პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებასა და ხაზობრივი ნაგებობების მონტაჟის, ასევე, საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე სხვა სამუშაოების წარმოებასა დაარსებულ ხაზობრივ ნაგებობებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო", რომელსაც, ზემოაღნიშნული №43-63 დადგენილების შესაბამისად, ეს

უფლებამოსილება აღარ გააჩნია. ამავე დროს, №19-75 დადგენილების პრეამბულის მიხედვით, ამ ნორმატიული აქტის მიღების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება და ეს დადგენილება აღნიშნულია ასევე №19-75 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის პრეამბულაში, მაშინ როდესაც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №139 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, ხოლო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ დამტკიცდა შესაბამისი წესი და პირობები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №546 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, მონიშვნები და შუქნიშნები) გამოყენების წესი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებით მასზე განსაზღვრული ახალი ფუნქციების (კერძოდ: ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემა; ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრული სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქონების მართვის სააგენტოდან თანხმობის გამოთხოვა) სრულფასოვნად განხორციელების მიზნით დღის წესრიგში დადგა ახალი ნორმატიული აქტის მიღების და №19-75 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების აუცილებლობა.

ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესი გავრცელდება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის, საწარმოს, ორგანიზაციის, ამხანაგობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცეში ან/და ტერიტორიაზე სხვა სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების წარმოების პირობების და შეზღუდვების, მათი ან/და

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის დარღვევისას პასუხისმგებლობის, ავარიის/გადაუდებელი აუცილებლობის დროს სამუშაოთა წარმოების პირობების განსაზღვრისა და მათი დარღვევისას პასუხისმგებლობის, ხაზობრივი ნაგებობების შემდგომი გამოყენებისა და მათი სისტემატიზაციის მიზნით რეგისტრაციის წესს. აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების პირობებს და ვადას, რომელიც ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტის ქონებას ადგება ზიანი, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 40[1] მუხლით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საქმიანობის შემდგომი სრულყოფა.

დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი დეკემბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432414-03; 19.11.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432414-03; 19.11.2024):

ვ.აბულაძე - დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოს დებულებით მასზე განსაზღვრული ფუნქციების სრულფასოვნად განხორციელება.

კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-63 დადგენილებით ცვლილებები შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებულ სააგენტოს დებულებაში და სააგენტოს ფუნქციებს დაემატა გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სქემების მომზადება. აგრეთვე, ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-64 დადგენილებით შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში, რომლის მიხედვით, ზემოაღნიშნული დამატებული ფუნქციებიდან გამომდინარე, სააგენტოს ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, აგრეთვე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრული სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის თანხმობის გაცემის მიზნით დაუდგინდა შესაბამისი პირობები, ამავე დროს, არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა №31-74 დადგენილებაში, რის გამოც, დადგენილებით დამტკიცებულ წესში შედის შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

- 5^1 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომელიც თავის თავში მოიცავს ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე/სამუშაოების წარმოებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის დამზადებას ან/და შეთანხმებას;

- რედაქციულად იხვეწება 5^2 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ხაზობრივ ნაგებობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის თანხმობის გაცემის წესს.

- თავიდან ყალიბდება მე-8 მუხლი, რომელიც განავრცობს გადახდილი საფასურის დაბრუნების წესს.

დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი დეკემბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432414-03; 19.11.2024).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე